თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2177352

ნომერი: AR1339154

თარიღი : 03.09.2015

გაცემის თარიღი : 10.09.2015

გაცნობის თარიღი : 11.09.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , მე-7 კილომეტრი (ნაკვეთი 07/039);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივლიანე წულაია პ/ნ 37001007207
- თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 59

ორგანიზაცია:

- იტონგ კავკასუს კოდი: 405046141

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი

განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება (თანდართული დოკუმენტაციით,) I კლასის მახასიათებლის მქონე ობიექტის „ლანდჩაპტური მშენენლობა“–ის განხორციელების მიზნით სამუშაოების განხორციელების მოთხოვნით.

წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ირკვევა, რომ თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოებით ხორციელდება მიწის სამუშაოები, რომელიც დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდგომ და რაც ასახება საწყის ეტაპად–მშენებლობისორგანიზებიოს კალენდარულ გრაფიკში

თქვენს მიერ დაგეგმილი მიწის სამუშაოების განხორციელება ვერ განიხილება პირველი კლასის ობიექტად მითუმეტეს რომ 2014 წლის 3 დეკემბერს საქართველოს მთავრობის #655 დადგენილების თანახმად შეტანილი იქნა ცვლილება 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებაში «მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ» მუხლი 65–მემუხლის მე-3 და 4 პუნქტებში. აქედან 3 პუნქტის გათვალისწინებით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მიიღოს გადაწყვეტილება I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების ასაშენებლად მშენებლობის ნებართვის საჭიროების თაობაზე ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური თვლის რომ წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით საპროექტო კედელი არის ისეთი ობიექტი რაც საჭიროებს მშენებლობის ნებართვას.

ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (გარდა განსაზღვრული გამონაკლისებისა). ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინასტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის შემდგომ (I სტადია), გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით თქვენს მიერ არჩეული ნომეკლატურა არ არის სწორად შერჩეული და სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ამ ეტაპზე თქვენი მოთხოვნა მიწის მოსწორებასთან დაკავშირებით(აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია სამსახურის პოზიცია შემოკლებული სახით გეცნობათნომერი: AR1336019 განხილვის შედეგად №2155628 გადაწყვეტილებით , რაც თვენს მიერ არ იქნა მიღებული ცნობად).

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.